პოლიტიკური

კავკასიონი

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი № 89 (383)

მაისი 24

ფასი 40 თეთრი

გეოპოლიტიკა

კასპიის ნავთობის საიდუმლო კავკასია გადამწყვეტ ფაზაში

ყველა ომს თავისი ვატერლოო, ბოროდინო თუ სტალინგრადი აქვს. მსოფლიო ენერგეტიკულ ომში კი, როგორც ჩანს, გადამწყვეტი შერკინება კასპიისთვის ბრძოლაა. კასპიისპირეთის ნიაღში არსებული 25 მლრდ. ბარელ ნავთობი და რეგიონის სტრატეგიული მდებარეობა ამ ბრძოლას განსაკუთრებით მწვავე და მძაფრ ხასიათს აძლევს.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ჭიდილში 21-ე საუკუნის დასაწყისის [illegible] გაირკვევა. ამ რეგიონში მიმდინარე სამხედრო მოქმედებები [illegible] ყველა სეროზულობით აღიქმება არა მხოლოდ მოსკოვის მიერ, რომელიც დსთ-ს ქვეყნებს და, მათ შორის, კასპიისპირეთსაც თავისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ აღიქვამს, არამედ დასავლეთშიც. გასული წლის შემოდგომაზე, ჩრდილოეთ ატლანტიკური ბლოკის ერთ-ერთ სამინარზე იხილებოდა კასპიის ზღვაში აშშ-ს სამხედრო კონტინგენტის განლაგების იდეა, როგორც ეს სპარსეთის ყურეშია.

ალსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედებები, რომლებიც უბარმაზარ ტერიტორიაზე მიმდინარეობს, ჩართულნი აღმოჩნდნენ არა მხოლოდ ქვეყნები, პოლიტიკოსები და დიდი ნავთობკორპორაციები, არამედ ხალხებიც, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. [illegible] უფრო ახლოვდება ნავთობის [illegible]ების რეალური დამუშავების [illegible], მით უფრო ხშირად ლაპარაკობენ [illegible]ოლიტიკოსები ნამდვილ მამოძრავებელ ძალაზე, რამაც ამიერკავკასიასა [illegible] კასპიისპირეთში აშგვარი არეულობა გამოიწვია. აქაც, როგორც შუა [illegible]ის ომმხედრო მოქმედებების სცენაზე, იქმნება გეოპოლიტიკური ბლოკები [illegible] მენავთობეთა ალიანსები.

გასული წლის შემოდგომაზე, პირველადი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის ორი ძირითადი მარშრუტის [illegible]ის შემდეგ, კასპიისპირეთის ირგვლივ განაწილებული ძალები გამოიკვეთა. ერთი მხრივ, გაერთიანდნენ [illegible]ასავლური ორიენტაციის ქვეყნები: [illegible]ურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, [illegible]ზბეთი, რომლებსაც სათავეში აშშ [illegible]ედგას, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთი, [illegible]ირანი, სომხეთი, ბულგარეთი, თურქეთი [illegible] ([illegible]) [illegible] [illegible] [illegible]

კავკასიონი

პარასკევი, 24 მაისი, 1996

ინფორმაცია

№89 (36)

ღარიბი, რომლის რუბრიკასაც თავად ღარიბში იხილავთ

როდემდის?!

პირველი გვერდიდან

ვიეთნი იტყვიან, კონკურენციის ეშინიათო. ვითომ, ათიოდე ლარს უფრთხილდებიან და იმიტომ ღელავენ? ან თურქოლოგები ვერ იშოვნიან ხსენებულ უნივერსიტეტში სამუშაოს? რატომ იკლავენ თავს, არ არის მისი გახსნა საჭიროო — იქნებ, აწყენთ 500 და 600 დოლარი ხელფასი?

ფაქტობრივად, შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ იტყვიან — წერეთ და იკითხეთო. არადა, მეტი რა უნდა ქნან ამ ადამიანებმა, ღმერთს მხოლოდ გონება მიუცია მათთვის და სადამდისაც ხმა მიუწვდებათ, აფრთხილებენ ქვეყანას, თორემ იარაღი მათ არა აქვთ, რომ ძალით დააჭერონ ვინმე და შიმშილობასაც ვერ გამოაცხადებენ, უამისოდაც შიმშილობენ.

ერთი კია, ვინც გონიერ რჩევას და საბუთს ყურს არ უგდებს, ან მგელი შეჭამს, ან მგლისფერი ძაღლი — ერთი ცეცხლის მეორეთი დაბალანსების მსურველი შეიძლება ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდეს, და თუ ხელისუფლების მხრიდან გაჩუმება, უამრავი წვრილი თუ მსხვილი დარღვევის ვერშემჩნევა იმას მოასწავებს, რომ, ვინც რა უნდა თქვას და ეს უნივერსიტეტი მაინც აშენდებაო, ჯობია, პირდაპირ ითქვას ამის შესახებ.

როდესაც ჩვენს გაზეთში ამ თემაზე საუბარი დავიწყეთ, ღმერთმა იცის, უარი არ გვითქვამს არც ერთი მოსაზრების გამოქვეყნებაზე, რათა საზოგადოებას თვითონ გამოეტანა დასკვნა. უცვლელად და უკომენტაროდ დაბეჭდა ბატონ გურამ მამულიას ის წერილიც, სადაც მან საკმაოდ მოურიდებლად „აშაურა“ „კავკასიონი“. ჩვენ ბოროტად არ ვისარგებლეთ იმით. რომ სამაგიეროს გადახდის ცოტა მეტი საშუალება გვქონდა. საერთოდ, მაქსიმალურად ვცადეთ, რედაქციის აზრი ვინმესთვის თავს არ მრგვეზვია, თუმცა, მაგალითად, ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, როგორ უთავსდება ღრმა პოლიტიკურ გათვლებს ყოფილი პარლამენტის განთლების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის განცხადება, დღენიადაგ უნდა ვიბრუნოთ ქართული წარმოშობის თურქების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე და სწორედ ამას შეუწყობენ ხელს ბაზლეთის უნივერსიტეტი და თურქეთში გახსნილი ქართული სკოლებიო. არის კი ვითომ უკვე მოფიქრებული, ქართული ლიტერატურის რომელ ნიმუშებს და საქართველოს ისტორიის რომელ ნაწყვეტებს შევთავაზებთ თურქეთის პატარა მოქალაქეებს? ან, იქნებ, ძალიან, ძალიან ვასიამოვნებთ მეზობელ ქვეყანას, ახალი ეთნოკონფლიქტის კერის შექმნას თუ შევუწყობთ ხელს.

იქნებ, საერთოდაც არ არის საჭირო, ბაზალეთის ტბასთან დაკავშირებული ორი ფირმის კომერციული გეგმები თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების დონეზე განვიხილოთ. ამგვარმა მიდგომამ განაპირობა, რომ ქართველი ინსპექტორებს თურქულნომრიანი მანქანებისთვის დასტვენაც კი აეკრძალათ და თავის ქვეყანაში წესიერი მძღოლები, აქ უწესოებად ვაქციეთ.

დაბოლოს, გამოითქმის საყვედური ტერმინ „თურქული უნივერსიტეტის“ გამო, ცოდვა გამხელილი ჯობია და ამაში მართლაც მიგვიღვის ბრალი. გაზეთში რუბრიკით „ისევ თურქული უნივერსიტეტს შესახებ“ ორმოცდაათამდე წერილი დაიბეჭდა. ბოდიშს ვიხდით მკითხველთა წინაშე, თუ ეს ტერმინი არაზუსტი იყო და გთავაზობთ ახალს, რომელიც შეიძლება ცოტა გრძელია და მოუხერხებელი, მაგრამ საქმის არსს ზუსტად გადმოსცემს: „ბაზალეთის ტბაზე მშენებარე კერძო უნივერსიტეტი, რომლის 85 პროცენტი ორ თურქულ ფირმას ეკუთვნის, 7,5%-7,5% — საქართველოს განათლების სამინისტროს და დუშეთის გამგეობას და რომელსაც (იმის მიხედვით, თუ როგორ აწყობთ) ხან ბისეკისას უწოდებენ, ხან — შავიზღვისპირა ქვეყნებისას, ხან — საერთაშორისოს, ხან — თურქულს, ხან — თურქულ-ქართულს და ხანაც — სუფთა ქართულს“.

„კავკასიონი“

ps. ისე კი, ადამიანს მაინც არ გაავენებს აკვიატებული კითხვა — როდემდის?!

ბაურზაური არაფრის გამო

საქართველოს ხელისუფლებაზე განაწყენებული რუსი სამხედროები, სალსალამათი რეუტი, დამნაშავე კენჭი

პირველი გვერდიდან

საქართველოსა და რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევის შემდეგ, საბედნიეროდ, ეს ინიციატივა ჩაიშალა, მაგრამ დღევანდელი ინციდენტი გვაფიქრებინებს, რომ რუსეთ-საქართველოს სულ უფრო გააქტიურებულ ურთიერთობათა დესტაბილიზაციის მცდელობა ამით არ ამოწურულა. მოვლენათა ანალიზი საფუძველს მაძლევს ვივარაუდო, რომ მოსალოდნელია სხვა, უფრო საშიში პროვოკაციებიც.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მთავარ გარანტს და მოვითხოვ სასწრაფოდ იქნეს განხორციელებული ღონისძიებები შემდგომი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად; ასევე, შეიქმნას სათანადო კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის მომხდარ ფაქტს და მას შესაბამის შეფასებას მისცემს“.

ამგვარი დეზინფორმაციის გავრცელება, ეჭვგარეშეა, შემთხვევითობად ვერ მიიჩნევა და საქართველოს ხელისუფლებას და აქ განლაგებულ რუსეთის სამხედრო ძალებს შორის კონფრონტაციას ისახავს მიზნად. მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა რუსეთის არმიის 75-ე წლისთავის აღსანიშნავი დემონსტრაციის ჩატარებაზე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა „კეთილგანწყობა“ საქართველოს ხელისუფლებისადმი რამდენადმე შეიცვალა. ამის დასტურია იმავე ბელჩენკოს მიერ ამას წინათ რუსეთის ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში გაჟღერებული საყვედურის ტონი საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რომელმაც რუსეთის სამხედრო ძალებს არ დართო ნება, საზეიმოდ აღენიშნათ იუბილე.

მორიგი დეზინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „პრავდა-5“-მა, რომელიც იუწყება, თითქოს, რუსეთის ვიცეპრემიერის ბოლშაკოვის და აფხაზეთის ე.წ. ვიცეპრემიერის გაგულიას შეთანხმებით, ათონის მონასტერი და აფხაზეთის საკურორტო კომპლექსი რუსეთის შესაბამის უწყებებს გადაეცა. ინფორმაციის წყაროდ დასახელებულია რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბოროდინი, რომელმაც საქართველოს მხარესთან საუბრისას ზემოხსენებული ფაქტის რეალობა უარყო.



თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის საქართველოში ვიზიტისას მსგავს საკითხებზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი, უნდა მივიჩნიოთ, რომ ზემოხსენებული ინფორმაცია რუსეთის გარკვეული წრეების ინტერესებიდან გამომდინარეობს და მისი რეალობად აღიარება, იხვ და ისევ, კარგად გამიზნული პროვოკაციაა.

დიანა გაბროშვილი

კონფლიქტი

ვინ იტყვის სიმართლეს?

საქართველოს «წითელი ჯვრის» ორგანიზაციაში მომხდარი განხეთქილების გამო

პირველი გვერდიდან

მისი კონტრარგუმენტების შოხმენა გუშინ არ მოხერხდა) ადასტურებდა, რომ საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციაში სერიოზული დოკუმენტური დარღვევები ხდება. მისი პრეზიდენტი თვითნებურად აფორმებს და მერე სურვილის მიხედვით ცვლის ოქმებს და დადგენილებებს. მისი მიზანია, რაც შეიძლება მყარად ეჭიროს მმართველობის სადავეები ხელში და არავის, მით უფრო მისი თვითნებობით გაღიზიანებულ ქვეორგანიზაციის წევრებს, არ მისცეს დამოუკიდებლად მუშაობის ან გამოყოფის უფლება იმ მოტივით, რომ ორი წითელი ჯვრის ორგანიზაცია არ შეიძლება არსებობდეს.

ამ, და უფრო მძიმე ბრალდებების დაწვრილებით მიმოხილვის უფლება დღეს ჩვენს, თავს ვერ მივეცით იმის გამო, რომ დღესვე, წითელი ჯვრის ოფისში ბატონი ნოდარ ცქიტიშვილი გამართავს პრესკონფერენციას, რომლის შემდეგაც, ალბათ, მოგვეცემა საშუალება, ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია მივაწოდოთ მკითხველს.

დღეს მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ორგანიზაციაში, რომელიც სხვის ტკივილებს უნდა წამლობდეს, ამგვარი დაპირისპირების არსებობა სამწუხაროა.

უფრო დაწვრილებით კონფლიქტის შესახებ ამოიკითხავთ ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში.

ნინო ივანიაძე

მეწარმეთათვის

რა არის დამატებული ღირებულების გადასახადი და როგორ გადავიხადოთ იგი?

კანონი, კომენტარი

პირველი გვერდიდან

ბიუჯეტში შესატანი გადასახადი

100 — 60 = 40

100 — 60 იგივეა, რაც 200-ის 20 პროცენტი.

ე. ი. თუ მეწარმე იძენს ნედლეულს 300 ლარად, მომწოდებელს უხდის აგრეთვე დამატებული ღირებულების გადასახადს — 60 ლარს (300-ის 20 პროცენტს), სულ 360 ლარს. წარმოების ხარჯებს მიაკუთვნებს არა 360, არამედ 300 ლარს. იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული ნედლეულიდან დამზადებული საქონლის ღირებულება შეადგენს 500 ლარს, მას ერიცხება დამატებული ღირებულების გადასახადი 100 ლარი (500-ის 20 პროცენტი) ე. ი. გასაცემი ფასი, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით, შეადგენს 600 ლარს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი იხდის ამ პროდუქციის ღირებულებას, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით, 600 ლარს, მაგრამ საქონლის დამამზადებელს ბიუჯეტში შეაქვს არა 100, არამედ 40 ლარი (100 — 60), ე. ი. რეალიზაციით მიღებულ გადასახადს აკლდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა, რომელიც მან მომწოდებელს გადაუხადა. სწორედ ესაა ახლად შექმნილი ღირებულების 20 პროცენტი.

ნედლეულსა და მასალებზე დამატებული ღირებულების გადასახადის გამოთქვა ნიშნავს იმას, რომ საწარმომ ბიუჯეტში უნდა გადაიხადოს გარკვეული თანხა, რაც ახლადშექმნილი ღირებულების — ჩვენ შემთხვევაში 200-ის 20 პროცენტია.

აქ კიდევ ერთი რამაა გასათვალისწინებელი — ვაჭრობის სფეროში არის განსხვავებული გაანგარიშების წესი (მუხლი 4, პუნქტი 12), თუმცა შედეგი იგივეა.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მაგალითს.

თუ საქონელი შეძენილი იქნა 300 ლარად, რომელზეც გადახდილი იქნა დამატებული ღირებულების გადასახადის 20 პროცენტი (სულ 360 ლარად) და შემდეგ მისმა სარეალიზაციო ფასმა შეადგინა 600, ამ შემთხვევაში (ვაჭრობის სფეროში) დამატებული ღირებულების გადასახადი უდრის 600 — 360 = 240 ლარის 16,67 პროცენტს, რომელიც ისევ 40 ლარს შეადგენს. აქ გაანგარიშების მეთოდიკაა სხვა, თუმცა ამ მეთოდს საერთაშორისო ორგანიზაციები არ იზიარებენ.

რა აქვს მას უარყოფითი?

ვთქვათ, მეანაბარემ წინა ეტაპზე არ გადაიხადა დამატებული ღირებულების გადასახადი, ამ შემთხვევაში დამატებული ღირებულების გადასახადი იანგარიშება ფასთაშორის სხვაობის მეთოდით, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქოს ვუთვლით დამატებული ღირებულების გადასახადს, რომელიც მას არ გადაუხდია.

ფაქტობრივად, ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ, როგორ ხდება ბიუჯეტში შესატანი დამატებული ღირებულების გადასახადის გაანგარიშება. ეს არის რეალიზაციით მიღებულ გადასახადს გამოკლებული მატერიალურ დანახარჯებზე გადახდილი გადასახადი.

4. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენისას გადახდილი გადასახადის თანხა გამოირიცხება ბიუჯეტში შესატანი გადასახადის თანხიდან.

5. ბიუჯეტში შესატანი დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო თანხები არ შემცირდება გადასახადის თანხებით, რაც გადახდილია:

ა) არასაწარმოო ხასიათის საჭიროებისათვის გამოყენებული საქონლისათვის (სამუშაოებისათვის, მომსახურებისათვის), რომელზეც გადასახადს ახდევინებენ დაფინანსების შესაბამისი წყაროებიდან, აგრეთვე სამომსახურეო მსუბუქ ავტომობილებსა და მიკროავტობუსებზე;

ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიმართ, რომლებსაც უმცირდებათ არასაწარმოო საჭიროებისათვის გამოყენებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) დამატებული ღირებულების გადასახადი;

ბ) გადასახადისგან განთავისუფლებული პროდუქციის დამზადებისას და ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებულ საქონელზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) მომწოდებლისათვის გადახდილი გადასახადის თანხები მიეკუთვნება წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს.

თ. დვალი — საწარმო მატერიალური ფასეულობების შეძენისას იხდის გადასახადს, მაგრამ ეს გადასახადი ზოგ შემთხვევაში ბიუჯეტთან ურთიერთობის გადასახადს არ მიეკუთვნება. კონკრეტულად, ესაა გადასახადი ისეთ ფასეულობებზე, რომელიც არასაწარმოო მიზნებით გამოიყენება.

6. თუ მიღებულ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) გადასახადის თანხები აღემატება რეალიზებულ საქონელზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) გამოანგარიშებულ გადასახადის თანხებს, წარმოქმნილი სხვაობა ჩაითვლება მომავალ გადასახდელთა გადახდაში, ან ანაზღაურდება ბიუჯეტიდან ამ გადასახადის საერთო შემოსულობათა ხარჯზე.

თ. დვალი — როცა შეძენილ ფასეულობებზე გადახდილი გადასახადი აღემატება რეალიზაციაზე მიღებულ გადასახადს, ასეთ შემთხვევაში საწარმოს უფლება აქვს მოითხოვოს... და საგადასახადო ვალდებულია გარკვეულ ვადაში უკან დააბრუნოს ან საწარმოს თანხმობით შემდეგ თვეში გადაიტანოს გადასახადი და ჩაუთვალოს.

ექსპორტზე ჩვენ შემოვიღეთ ნულოვანი განაკვეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალიზაციისას გადასახადი არ არის, მაგრამ შეძენისას გაწეულ დანახარჯებზე გვაქვს გადახდილი გადასახადი, რომელიც ანაზღაურდება ბიუჯეტიდან.

7. იმპორტულ საქონელზე გადასახადი გამოანგარიშება სამმაგლო წარმოების საქონლისათვის დადგენილი განაკვეთით დასაბეგრი თანხიდან, რომელიც განისაზღვრება ამ კანონის მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

8. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური ვალუტით საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციისას გადასახადის გადახდა ხდება დადგენილი განაკვეთის შესაბამისად ეროვნული ვალუტით.

საწარმოები, რომლებმაც მყიდველებისგან (დამკვეთებისგან) მიიღეს გადასახადი უცხოური ვალუტით, ვალდებულნი არიან მიუიღონ ვალუტა. გადასახადის თანხის ოდენობით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ანგარიშსწორებს მომრეკნტში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ეროვნული ვალუტის კურსით.

მუხლი 8.
გადასახადის გადახდისა და გაანგარიშების წარდგენის ვადები

1. გადასახადი გადაიხდება:

ა) ყოველთვიურად საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გასული თვის რეალიზაციის მიხედვით, არაუგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა — საწარმოების მიერ, რომელთა საშუალო თვიური გადასახდელი აღემატება 500 ლარს.

ბ) ყოველკვარტალურად საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გასული კვარტლის რეალიზაციის მიხედვით არაუგვიანეს საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე — საწარმოების მიერ 500 ლარამდე საშუალო თვიური გადასახდელებით.

გ) ინდივიდუალური მეწარმეების მიერ (საავანსო გადასახდელების სახით) — დეკლარაციაში ნაჩვენები წლის განმავლობაში მოსალოდნელი შემოსავლიდან გამომდინარე ყოველკვარტალურად წლიური გადასახადის თანხის ერთი მეოთხედის ოდენობით 15 მარტს, 15 მაისს, 15 აგვისტოს და 15 ნოემბერს.

2. გადამხდელები ყოველთვიურად, შესაბამის შემთხვევაში ყოველკვარტალურად, საანგარიშო მომდევნო თვის 20 რიცხვში, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოები 25 რიცხვში უდგენენ გაანგარიშებებს შესაბამისი ფორმებით საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილმდებარეობის მიხედვით.

3. იმპორტულ საქონელზე გადასახადი გადახდება ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 9.
გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა და საგადასახადო ორგანოების კონტროლი

1. პასუხისმგებლობა დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშების სისწორისათვის, ბიუჯეტში დროულად გადახდისა და საგადასახადო ორგანოებში გაანგარიშებების დადგენილ ვადებში წარდგენისათვის ეკისრებათ გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო ის შემთხვევაში, როცა დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდევინება შედის საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში — საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადამხდელთა მიერ გადასახადის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფისათვის და მისი გამოყენების კონტროლისათვის „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10.
დასკვნითი დებულება

აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთების ოდენობა, აგრეთვე საგადასახადო შეღავათების ნუსხა შეიძლება შეცვალოს საქართველოს პარლამენტმა.

(კანონი მიღებულია 1993 წლის 24 დეკემბერს)

მოამზადა

მაია ტორაძემ

რეგიონებში

პარლამენტის თავმჯდომარე კახეთის რეგიონში

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, პარლამენტის რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარესთან და დეპუტატებთან ერთად კახეთის რეგიონში გაეგზავნა. აქ იგი შეხვდება რაიონის მოსახლეობას, გამგეობების ხელმძღვანელებს და მოინახულებს ნავთობსარეწებს. გუშინვე, ზურაბ ჟვანია შეხვდა ღვინის ქართულ-ამერიკული ერთობლივი ქარხნის ხელმძღვანელებს.

გაიმართება «სიღნაღური დღეები»

26 მაისიდან 2 ივნისამდე სიღნაღში ტარდება „სიბრძნის, სიწმინდის და სიმხნევის სიღნაღური დღეები“, მიძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი. 26 მაისსვე გაიხსნება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუში. „სიღნაღური დღეების“ განმავლობაში ხელი მოეწერება მეგობრობის აქტებს სიღნაღთან დამეგობრებულ ქალაქებთან: გალიცთან (გერმანია), ბერჩილატესთან (იტალია), იზაბერნისკთან (რუსეთი), მარიოპოლთან (უკრაინა) და კახთან (აზერბაიჯანი).

დაფუძნდება ერთობლივი ქართულ-ავსტრიული საწარმო

შირაქის ნავთობსარეწებზე მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივი ქართულ-ავსტრიული საწარმოს დაფუძნების თაობაზე, რომელიც დიდ მოგებას აპირებს რაიონისა და საერთოდ, რესპუბლიკის ბიუჯეტს.

რაჭა ნარკომანებისგან გაიწმინდა

„ამბროლაურის რაიონში სიმშვიდე და სტაბილური მდგომარეობაა, მკვეთრად გამოსწორდა სიტუაცია კრიმინოგენული თვალსაზრისით, აღიკვეთა ნარკომანიის ფაქტები“, — განაცხადა ამბროლაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ დავით გაგოშიძემ. მისივე თქმით, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება რაიონის ელექტროენერგიის დავალიანების საკითხი.

იბერია

პარლამენტი

ვინ და როგორ დაიბეგროს?

23 მაისს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში გაიმართა საკომიტეტო მოსმენა თემაზე: ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის დაბეგვრის წესისა და გადასახადიდან გათავისუფლებული საქონლის ნუსხის შესახებ.

ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის ირგვლივ ისაუბრა თ.კოპაძეი შვილმა. კანონპროექტში, რომელსაც, მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, დადგენილების სახე მიეღო, არის ჩამონთვალთა ნუსხა, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას. **ესენი:** ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ვიდეო-აუდიო აპარატურა, საყოფაცხოვრებო საქონელი, საკონდიტრო ნაწარმი. დადგენილების მიხედვით, **300 ლარამდე** ღირებულების შემოტანილი საქონელი არ ექვემდებარება დაბეგვრას, მაგრამ აქ მთელი რიგი სირთულეები იჩენს თავს. მაგალითად, თუ ფიზიკური პირი უცხოეთში მუშაობდა და სამშობლოში ბრუნდება, ანდა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე აქ მოდის საცხოვრებლად, მაშინ მისი დაბეგვრა, ალბათ, სხვანაირად უნდა მოხდეს.

ვლორთქიფანიძის აზრით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ გასაყიდი საქონელი, რომელიც უნდა დაიბეგროს, პირადი, რომელიც არ იბეგრება და ნაჩუქარი ან ნაყიდობა. ფეხსაცმელი ერთსა და იმავე დროს შეიძლება სამივე კატეგორიაში გავიდეს, ამიტომ ეს საკითხი გადასახედია. მან კოლეგებს შესთავაზა, გასცნობოდნენ მის მიერ შედგენილ პროექტს. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტის სამი ბრძანება წინასწარი გადახდის, ფიზიკურ პირთა დაბეგვრისა და საზღვრის გადალახვის დროს ვალუტის გატანის შესახებ არ შესრულდა.

შეხვედრაზე ითქვა, რომ აუცილებელია მეგობის უფლებების რაშენარიდან შეზღუდვა, რადგანაც იქ განუკითხაობა სუფევს. ზ.სიორიძის თქმით, საბაჟო დეპარტამენტთან საჭიროა ძალიან სერიოზული მუშაობის ჩატარება. მან კოლეგებს შესთავაზა ფართომასშტაბიანი დათვალიერება რომელიმე საბაჟო პუნქტისა, რათა ადგილზე გარკვეულიყვნენ სირთულეებში. მისივე თქმით, კომიტეტებიდან არანაირი წინადადება არ შემოსულა ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. ამიტომ სამუშაოს უფრო კონსტრუქციულად გაგრძელების მიზნით გადაწყდა, გასცნობოდნენ ვლორთქიფანიძის მიერ წარმოდგენილ პროექტს დეპუტატები და ორშაბათს, კომიტეტის სხდომაზე ემსჯელათ ამ საკითხზე.

არა გაკოტრება, არამედ — ამუშავება

23 მაისს პარლამენტის კინოდარბაზში ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტმა გამართა საკომიტეტო მოსმენა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით.

საკითხის ირგვლივ მოსაზრებები და შენიშვნები გამოთქვა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ლადო ჯანტურიამ. გამომსვლელის აზრით, **კანონპროექტი** მაღალ დონეზეა შესრულებული და **დიამეტრალურად** განსხვავდება იმ „ლოზუნგური **კანონებისგან**“, რომლებიც, ფაქტობრივად, ვერ **მუშაობენ** ჩვენში. მან მიანიშნა იმ სირთულეებზეც, **რაც** კანონპროექტზე მუშაობის პროცესში წარმოიშვა. მისი თქმით, საქართველოში კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ ჯერ არ შემუშავებულა. გამომსვლელის აზრით, კანონპროექტში უნდა განისაზღვროს, თუ რომელ სასამართლოს დაეკისრება გაკოტრებულ საქმეთა წარმოება, ანდა იუსტიციის-შინისტრს მიეცეს უფლება განსაზღვროს, ვის დაეკალოს ამ საქმის წარმოება. აუცილებელია სააპელაციო სასამართლოს კანონმდებლობაში გათვალისწინება, რის პრაქტიკა ფართოდაა დანერგილი დასავლეთში.

ლ.ჯანტურიამ დაუშვებლად მიიჩნია ყველა გაკოტრებული საწარმოს საჯაროდ გამოცხადება. მისი აზრით, საჭიროა საწარმოს მიეცეს სანაციის საშუალება, რაც საქმის გამოსწორების შესაძლებლობას გულისხმობს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია პოლიტიკურად გაუმართლებელი სურათიც მივიღოთ, რადგანაც ჩვენში საწარმოთა **90** პროცენტი, ფაქტობრივად, გაკოტრებულია. „დირექტორთა დაჭერა კი არა, სანაციის მიცემის შესაძლებლობაა აუცილებელი. ჩვენი პრობლემა მენეჯმენტის არარსებობაა“, — აღნიშნა გამომსვლელმა.

გაკოტრების წარმოება არ უნდა გავრცელდეს სახელმწიფოსთვის ისეთ აუცილებელ სფეროებზე, როგორიცაა: ფოსტა, სახელმწიფო რადიო და ტელევიზია, ასევე, ეროვნული ბანკი.

გამოითქვა აზრი, ხომ არ არის კანონპროექტი უცხოური მოდელის მიხედვით შესრულებული. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ კანონპროექტი წმინდა ქართული ხასიათისაა და იგი არანაირი უცხოური მოდელის ასლი არ არის. კანონის საფუძველი ისაა, რომ საწარმოს გამოსწორების შესაძლებლობა მიეცეს.

კანონპროექტის განხილვის პროცესში რეპლიკის სახით ასეთმა ფრაზამაც გაიჟღერა, რომ უმჯობესი იქნებოდა კანონის მიღება არა გაკოტრების, არამედ წარმოების აშუშავების შესახებ.

გია ბაინდურაშვილი

ტერორი

მოკლეს რუსეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილე

გუშინ დილით, საკუთარ სახლში, თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლეს რუსეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილე ანატოლი სტეპანოვი.

ცნობილი გახდა, რომ სტეპანოვი გუშინწინ საღამოს გვიან დაბრუნდა სამსახურიდან. მას თან ახლდა ნათესავი. იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყურებოდა მისი ოთახი, შესაძლებელი გახდა დაესკვნათ, რომ მათ შორის მაინცა და მაინც მეგობრული საუბარი არ უნდა შემდგარიყო. გამთენიისას სახლის პატრონსა და სტუმარს შორის მოხდა შეკამათება, რაც ჩხუბში გადაიზარდა. მინისტრის მოადგილის მეუღლე და ორი შვილი სახლში არ იმყოფებოდნენ. მეზობლებმა გაიგონეს ყვირილი, რომელიც, ალბათ, სამედისწერო დარტყმამ მოჰყვა.

საგამომიებლო ჯგუფი ცხელ კვალზე შეუდგა მუშაობას. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანატოლი კულიკოვმა თავად იკისრა ამ საქმის გამოძიებაზე კონტროლი.

ლიდერი

პრეზიდენტის დაძაბული რიტმი

რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა მოსკოვში ვიზიტად მყოფ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ხელმძღვანელს ჯეიმს ვოლფენსონს. შეხვედრის შემდეგ, გუშინ საღამოს, პრეზიდენტი, წინასაარჩევნო კამპანიის პროგრამით, რუსეთის ჩრდილოეთ ქალაქებში გაემგზავრა. იგი ეწვევა არხანგელსკსა და ვორკუტას. არხანგელსკის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ელცინმა განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობას დავალებული აქვს მაისის ბოლომდე დაფაროს **1994-1996** წლების სამხედრო შეკვეთების დაფინანსებაში არსებული დავალიანება.

ჩეჩნეთი

ელცინი მზადაა ჩეჩნებს მოელაპარაკოს

იტარ-ტასის ცნობით, რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა აიღეს და მთლიანად აკონტროლებენ ბამუტის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მდებარე სტრატეგიულ სიმაღლეებს. მიუხედავად ამისა, უშუალოდ ბამუტის შტურმს რუსი სამხედროები მოსალოდნელი დიდი დანაკარგების გამო, ჯერჯერობით, თავს არიდებენ — ჩეჩენი მებრძოლები თავიანთი პოზიციებიდან გააფთრებული წინააღმდეგობის განეკას აპირებენ.

გუშინ ფედერალური ძალები განაგრძობდნენ ბაზის დაბომბვას, სადაც გამაგრებული არიან ჩეჩენი მებრძოლები და მომარაგებული აქვთ უამრავი ტყვიაწამალი. არის ვერსია, თითქოს აქ რუსი სამხედრო ტყვეებიც იმყოფებიან. გამორიცხული არც ის არის, რომ ბამუტი რამდენიმე დღის შემდეგ რუსების ხელში გადავა. სამხედროები ამ ოპერაციის დამთავრებას პირველი ივნისისთვის, ანუ ჩეჩნეთში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის დაწყების წინ ვარაუდობენ.

გროზნოში ელცინის სტუმრობის უსაფრთხოებისთვის აეროპორტ „სევერნიშიც“ ჩაატარეს სპეცოპერაცია. დააკავეს სამი ადამიანი დოკუმენტაციის გარეშე, რომელთა ვინაობაც დგინდება.

გუშინ ღამით, გროზნოში ფედერალური ძალების პოზიციები შვიდჯერ დაცხრილეს. დაცხრილეს, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. 20-21 მაისის ღამეს კი მოიტაცეს სამშენებლო სამმართველოს სამი ხელმძღვანელი. სამართალდამცავი ორგანოების აზრით, მიზეზი ფულის გამოძალვის მცდელობაა.

რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი მზადაა, გამართოს მოლაპარაკებები ჩეჩნეთის კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარესთან. ამჟამად ის განიხილავს ვარიანტებს, სად და როგორ ვითარებაში შეიძლება ასეთი შეხვედრა გაიმართოს. ამის შესახებ განაცხადა პრეზიდენტის პრესმდივანმა სერგეი მედვედევმა.

მამუკა ალთუნაშვილი

ვიზიტი

რუსი მინისტრის მიერ «აღმოჩენილი» ლათინური ამერიკა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოგზაურობს. იგი მექსიკიდან კუბაში „გადავიდა“, სადაც ამ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შეხვედრების შემდეგ, ხელი მოაწერა კულტურისა და მეცნიერების დარგში თანამშრომლობის დოკუმენტებს.

რუსეთი და კუბა შეთანხმდნენ, ერთობლივი ძალებით ებრძოლონ ნარკობიზნესს, საერთაშორისო ტერორიზმს, ორგან

გეოპოლიტიკა

კასპიის ნავთობის საიდუმლო კავკასია გადამწყვეტ ფაზაში

პირველი გვერდიდან

ამავდროულად ელჩიბეიმ რუსული „ჯარების შემოყვანაზე „ბერეგოვოიზე“ განაცხადა და პასუხად სურეთ ბურბულისის შეიარაღებული გადატრიალებული ძალა მიიღო (სხვათა შორის, ს.პუსეი

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

ᲘᲥᲘᲓᲔᲑᲐ

- ოთხოთახიანი ბინა ვაკეში, ორი დიდი ივნით, ორადგილიანი ავტოფარეხით. სარდაფით ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-38-25.
- ოთახნახევრიანი ბინა ქალაქის ცენტრში, საერთო, ფართი 33 კვადრატული მეტრი. ოთახების ფართი: 18, 13 კვ.მ., სამზარეულო 10 კვ.მ., ჭერის სიმაღლე 4 მ., მაღალი ბელეტაჟზე, ცალკე შესასვლელით. ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, ცარცლიანი. უზნაძის (ყოფილი კამოს ქ.) ქუჩაზე, ბარანოვსკის თეატრთან ახლოს. ფასი 17000 დოლარი. ტელ.: 30-00-47, 35-11-15.
- ოთახიანი ბინა ლოჯით, ხუთსართულიანი სახლის მე-2 სართულზე, ვაჟა-ფშაველას მეშვიდე კვარტალი, შეიორმეტე კორპუსი, მეორე სადარბაზო, ბ. 54. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 30-15-36.
- ალიკოლორ ეზოში ოროთახიანი ბინა მე-2 სართულზე და ერთოთახიანი პირველ სართულზე. შეიძლება შიდა: კიბით ორსართულიანის გაკეთება. ოთახების ფართი 60 კვ.მ., აქვს ერთი ოთახის მიშენების პერსპექტივა, გათბობა, სარდაფი, ტელეფონი, მანქანის დასაყენებელი ადგილი. შესასვლელი როგორც ეზოდან, ასევე სადარბაზოდან. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-96-46.
- ან იცვლება (3-ოთახიან და ერთოთახიანზე) სამოთახიანი ბინა (კუთხის) გარშემო აივნებით, ვაჟა-ფშაველაზე მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", მეზუთე სართულზე. ფასი შეთანხმებით, ტელ.: 37-54-23 (საღამოს 6 საათიდან).
- სასწრაფოდ 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა 8 სართულიანი სახლის მე-6 სართულზე. ფასი 26000 ლარი. ტელ.: 39-56-93, 39-71-80.
- 3-ოთახიანი კუთხის ნათელი ბინა დიღმის მასივის მეხუთე კვარტალში 8 სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. აქვს ლოჯი, მიშენებულია 42 კვ.მ. ფართი ბინა სარემონტოა. საწყისი ფასი 27000 ლარი. ტელ.: 36-06-70, 36-25-04.
- მეტრო „წერეთელთან" ერთოთახიანი ბინა შუშაბანდით, ტუალეტი და აბაზანა საერთო, პირველი სართული. საერთო ფართი 28 კვ.მ., ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-09-58, იკითხეთ დათო (7 სთ-ის შემდეგ).
- სამოთახიანი ბინა ორიგინალური დიზაინით, გაკეთებულია სანტექნიკა, კაფელი და მეტლახი მაღალ დონეზე. ალუმინის ჩარჩოებშია ჩასმული მინები, პარკეტი და ბუხრით. აქვს კაპიტალური სხვენი და ავტოფარეხი. ტელ.: 30-08-40, 12000 დოლარი. იკითხეთ დალი.
- ხუთოთახიანი კერძო სახლი სვანეთის უბანში, ეზოსთან ერთად. საერთო ფართი 300 კვ.მ., ფასი 35000 ლარი. ტელ.: 96-57-39 (6-ს ნამოს რვა საათის შემდეგ).

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲐᲓ, ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲐᲡᲘᲗ!



ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲤᲐᲜᲔᲑᲘ

გაზეთ „კავკასიონის" კომპიუტერული ცენტრი თქვენი მოსმენისთვის!

პეტრიაშვილის 7, ტელ.: 29-48-05

- კაპიტალური ორსართულიანი სახლი ავჭალაში ხეხილიანი ეზოთი. არის სასმელი და სარწყავი წყალი. ტელ.: 34-23-90.
- ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში (თურქეთის საბაღოდან 30 კმ-ში) ახალი სახლი ბელეტაჟზე, ხუთი ოთახით, ურემონტო, დიდი სარდაფით და 15 მეასედი ზეხილის ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ. (თბილისში): 66-22-12, (ახალციხეში): 2-07-17, 2-16-68.
- ოროთახიანი გარემონტებული ბინა სარდაფით და ბაღით, რვასართულიანი შენობის პირველ სართულზე. მისამართი: თბილისი, თემქა, მეთერთმეტე მ/რ, მესამე კვარტალი, 54 კორპუსი, პირველი სართული, ბინა 3. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-22-12.
- სასწრაფოდ ხუთოთახიანი ბინა ტელეფონით თბილისში, ბახტრიონის ჭიჭაზე, 20 ნომერში, მესამე სადარბაზოს მე-9 სართულზე, ბინა 62. ფასი 60000 ლარი. ტელ.: 38-60-21.

ᲕᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑ

მეტრო „ავჭალასთან" ერთ გაჩერებაზე 2-ოთახიან ბინას, მე-12 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-35-36.

ხუთოთახიან ბინას სარდაფით, ტელეფონით, ბდენარეობს კოლმეურნეობის მოედანზე. შესასვლელი ეზოდან და ჭიშკიდან. სასურველია იქნა ოჯახი ოფისისთვის. ტელ.: 69-61-38, 36-42-30.

- ოთახნახევრიან ბინას სამტრედიის ქუჩაზე ჩეხური პროექტის 9-სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-48-15.
- ოთახნახევრიან იზოლირებულ ბინას რკინის კარით, მცირე ავეჯით. დიდ დიღომში (16-სართულიანი სახლის მე-12 სართულზე), ფასი 60 ლარი. ტელ.: 38-64-69, 51-68-29.
- ერთოთახიან იზოლირებულ ბინას, ავეჯით, ტელეფონით. ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-72-60.
- ზედა წუნეთში ორსართულიან სახლს ორი ოთახით. გარემონტებული. 400 კვ.მ. ხეხილის ბაღით. ტელ.: დილით 93-66-63, საღამოს 37-26-33.
- ოროთახიან ტელეფონიან სუფთა ბინას ლოჯით, ნაწილობრივი ავეჯით, მაღალ ბელეტაჟზე, გოსებით, რკინის კარებით, რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან, (მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი") ფასი 200 დოლარი. ტელ.: 37-23-78.
- ოროთახიან ბინას ხილიანზე. ტელ.: 36-05-02 ან 99-04-11, ფასი შეთანხმებით.
- ოროთახიან იზოლირებულ არასტანდარტულ ბინას ლოჯითა ტელეფონით, მაცივრით, მეტრო „მარჯანიშვილთან". ტელ.: 93-49-81.
- ერთოთახიან ბინას პირველ სართულზე. მისამართი: ქვემო ფონტალა, რუსთავის გზატკეცილზე. ტელ.: 39-66-07, დათო.

„ზოოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზას და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩნიათ ყველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატები ყველაზე ხელმისაწვდომ ფასებშია, გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინარულ აფთიაქებში და „ზოვეტმომარაგების" რესპუბლიკურ ბაზაში.

მისამართი: ნავთლული, მატროსოვის 15, მეტრო „სამგორი".
ტელეფონი: 74-36-62, 74-12-16, 74-02-00

- სამოთახიან ბინას დიღმის მასივში დიდუბის ნიდთან პირველი 14-სართულიანი სახლის ბოლო სართულზე, ტელეფონით, ბუხრით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-25-63.
- ჭიბურს ისნის ბაზრობის ტერიტორიაზე. მოგვაკითხეთ № 51 ჭიბურში.
- იზარით ორსართულიან კერძო სახლს 500 კვ.მ ეზოთი. დიდი გარაჟით. საბურთალოზე ტაშკენტის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ერთოთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით, გარემონტებული, რკინის კარებით. გაგარინის მოედანთან საბურთალოს ბაზრის ახლოს. კერძო და იურიდიულ პირებზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-31-54, ლამარა.

ᲮᲔᲕᲐᲚᲐᲡᲮᲕᲐ

- ვეიდი გერმანულ კობალტის სერვიზს 28 ნაჭრით. ფასი 450 ლარი; სერვიზს „რომეო და ჯულიეტა", 27 ნაჭრით, 12-კაციანი. ფასი 350 ლარი; საძინებელი ოთახის ვენეციურ ანტიკვარულ ფანარს, ფასი 300 ლარი; ანტიკვარულ სურათს ბრინჯაოთი, ფასი 100 ლარი. ტელ.: 96-96-46.
- ვეიდი მსუბუქ მანქანაზე დასადგამ სამარგულს, კარავს. რბილი ლეიბებით — ორ კაცზე. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 30-08-40, იკითხეთ დალი.
- ვეიდი ქარხნული წესით დამზადებულ ნახევარ ლიტრიანებში დაფასოებულ ტომატ-პასტას. მინიმალური პარტია 100 ლარი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-44-61, 22-56-31, ჯულიეტა.
- ვეიდი გერმანულ კედელს, 7 ნაჭერი. ტელ.: 68-89-18. ფასი 800 დოლარი.
- ვეიდი მოტოკულტივატორს „ნოვი" МКП1. ტელ.: 35-05-46.
- ვეიდი მუსიკალურ ინსტრუმენტს, ჩეხური წარმოების საფვირი „სუპერ არიონზო", ფასი 60 ლარი. ტელ.: 99-02-73.
- ვეიდი სხვადასხვა ფორმისა და ფერის გემოვნებით გაფორმებულ ამაფურებს, ტორშერზე, ლამპაზე და ჭიერზე ჩამოსაკიდს, ტელ.: 99-02-73.

ᲙᲝᲚᲙᲐ-ᲙᲝᲚᲐ — ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

საქართველოში მრეწველობის განვითარება, როგორც მოგეხსენებათ, დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე.

„კოკა-კოლა ბოთლერს ჭორჭიამ" უცხოელ ინვესტორებს საშუალება მისცა თავისი სახსრები თამამად დაბანდონ საქართველოში.

მაისის თვეში თბილისს რამდენიმესაათიანი საქმიანი ვიზიტით ეწვივნენ კოკა-კოლას წარმომადგენლები ბატონ ნევილ ინდელის მეთაურობით, რომელიც გახლავთ ჩრდილოადმოსავლეთ ევროპის და შუა აზიის ჯგუფის კოკა-კოლას პრეზიდენტი.

ვიზიტის დროს დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. განხილულ იქნა საქართველოში რამდენიმე ახალი ქარხნის ამოშავება, კერძოდ კი, მიხეილეულ იქნა შეთანხმება ტარის და საცობის საწარმოების ინვესტორებზე, რაც გარკვეულწილად, გამოიწვევს მოსახლეობის ნაწილის დასაქმებას.

დელეგაციის წევრებმა ჩაატარეს ქალაქის სავაჭრო ქსელის დათვალიერება.

ვიზიტის ბოლოს სტუმრებმა ისაუბრეს კოკა-კოლას სამომავლო საქმიანობის პერსპექტივების შესახებ.

„კოკა-კოლა ბოთლერს ჭორჭიას" დირექცია

ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ!

კერძო დაწყებითი სკოლა „მერმისი" აცხადებს მიღებას I, II, III კლასებში. მოსწავლეები სკოლაში იქნებიან 9-დან 17 სთ-მდე, უზრუნველყოფილნი იქნებიან ორჯერადი კვებით, მათთვის სასარგებლო და სასურველი გარემო პირობებით.

სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული საგნების გარდა, სკოლას შემუშავებული აქვს ესთეტიკური და ინტელექტუალური განვითარების სპეციალური პროგრამები. თქვენი შვილები დაეუფლებიან ინგლისურ და რუსულ ენებს, კომპიუტერს, აერობიკას, კარატეს ხელოვნებას. გაივლიან საგანგებო ნათლებლო-სახალისო კურსებს მითოლოგიასა და თბილისის ისტორიაში. ბუნებას შეისწავლიან WWF-ის პროგრამით.

სკოლის ფსიქოლოგის რეკომენდაციით კლასში ჩაირიცხება არაუმეტეს 16 მოსწავლისა.

საბუთების მიღება იწყრამოებს 27 მაისიდან, 12-დან 15 სთ-მდე.
მისამართი: ბარნოვის ქ. № 46, 53-ე სკოლის შენობა. ტ: 29-41-68

- ვეიდი ეპილაციის მანქანას, რუსეთის გამოშვება. ხარისხის გარანტიით. ფასი 150 ლარი. ტელ.: 95-88-42.
- ვასწავლი სასაუბრო გერმანულ ენას ორ თვეში. გადასახადი თვეში — 20 ლარი. ტელ.: 37-19-64, 34-66-02, იკითხეთ ირაკლი.
- ვასწავლი სასაუბრო ინგლისურ ენას გრამატიკული საუფლებით ორ თვეში. ფასი თვეში — 20 ლარი. ტელ.: 23-24-79.
- ვეიდი 4 ცალ ახალ ფინურ კარებს, ზომა 2/81 და გერმანულ სერვანდს „კატია". ტელ.: 99-82-28.
- ვეიდი 200-კერძანან ინკუბატორს. ფასი 300 ლარი. ტელ.: 23-20-33. დარეკეთ საღამოს 6 სთ-ს შემდეგ.
- ვეიდი რუმინულ ავეჯს სამეულით. ფასი 3000 დოლარი, კარგ მდგომარეობაში. ტელ.: 34-49-03, ნანა.
- ვეიდი რუმინულ კედელს „პირონა" სრული კომპლექტი. ტელ.: 22-54-79.
- ვეჭსოვთ თქვენი ინტერიერის შესაფერის, ავეჯზე გადასაკრავ გობელენს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-04-51.
- ვეიდი ქალაქის ცენტრში ავტოსადგომს ავტოგასამართი ბოქსებით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 93-23-82, თემური (საღამოს საათებში), 95-31-65 ავთო (საღამოს საათებში).
- ვეიდი გერმანულ პიანინოს „ვეენბახი" და ორ გასაშლელ სავარძელს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-12-15.
- ვთარგმნი ინგლისურიდან და გერმანულიდან შედავათიან ფასებში. ტელ.: 30-32-84, თამაზი.
- მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ტელ.: 93-11-65.
- მოვუვლი 6-დან 10 წლის ასაკამდე ბავშვს. ტელ.: 78-88-88, იკითხეთ ლამზირა ან ხათუნა.
- ვეიდი მუნის კასრებს, 350-500 ლ. 20 ცალი. ერთის საშუალო ფასი 35 ლარი. ტელ.: 68-83-58.
- ორ თვეში შეგასწავლით სალაპარაკო ინგლისურ ენას გრამატიკული საფუძვლით. გადასახადი თვეში 20 ლარი. დამიკავშირდით 1 ივნისამდე. ტელ.: 23-24-79, საღამოს, 34-66-02, დღისით, იკითხეთ ნათია.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲨᲔᲐᲕᲡᲔᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲧᲕᲐᲢᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲘᲡᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ

1. თანხა, ან ფასიანი ქაღალდი, შეტანილი საკრედიტო დაწესებულებაში კრედიტორისთვის გადასაცემად; 2. ამერიკული სალონური და სამეჯლისო ცეკვა; 3. სპილენძის სასხელე საკრავი; 4. ძველებური მიწის საზომი ერთეული რუსეთში; 5. მუსიკალურ-სტენური ნაწარმოები უპირატესად კომედიური ხასიათისა; 6. სასტუმროს, რესტორნის და მისთ. მეკარე; 7. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 8. მოხალული წვნიანი სიმინდი, დახეთქილი და თეთრად გულგადაშლილი; 9. სასჩელის მოხსნა ან შემსუბუქება უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ; 10. რაიმე საგნების ხია, რომელიც გარკვეული წესით არის შედგენილი; 11. ხელწერილი, თანხის გადახდის ვალდებულება; 12. ისტორიული ოლქი ირანში; 13. მეცნიერება დაავადებათა, მათი მკურნალობისა და თავიდან აცილების შესახებ; 14. შესვემება სათეატრო წარმოდგენის ორ მოქმედებას შორის; 15. ოქრომჭედლის იარაღი; 16. სახელმწიფო აზიაში; 17. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 18. თამაში, სპეციალურ მაგიდაზე ბურთებით და ჯოხებით; 19. გაძლიერებული დაცვითი თამაში ფეხბურთში; 20. შვეულის გადასვლა რიგიდან მეორე მასის მიზიდულობის ძალის შედეგად; 21. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო; 22. ზოგ სახელმწიფოში: უმაღლესი თანამდებობის პირების წოდებულება; 23. სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული; 24. ყვავილწნული; 25. ადამიანი, რომელსაც სიახლე შეაქვს რაიმე დარგში; 26. სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებითი დაკავება; 27. XVI-XVIII საუკუნეების იტალიაში: დიდგვაროვანი, მდიდარი გათხოვილი ქალის მუდმივი თანამგზავრი მამაკაცი სეირნობის დროს; 28. მოღალატე, განდგომილი ადამიანი; 29. უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო წოდებულება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 30. წესით დასველებული ტილო მტკივან ადგილზე დასადებად; 31. თათარში ამოვლებული ნიგვზის, ჩამიჩის და მისთ. ასხმულა; 32. რაიონული ცენტრი საქართველოში; 33. ვაზის კულტურის დაყენების ერთი ძველებური სახეობა დასავლეთ საქართველოში; 34. მწვანილეული მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა; 35. ძალიან დიდი ხნის წინანდელი; 36. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი.

შეადგინა ბ. ტეტელაშვილმა



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

თარაზულად: 1. ბორდო; 3. სვავი; 5. ქსანი; 8. ალუმა; 12. კიუსიუ; 14. დარვინი; 15. ბასტა; 18. მონტანა; 21. პლატინი; 22. ადისაბება; 23. მარსი; 25. ირისი; 28. კაირო; 30. თოვლი; 32. კრუხი; 33. არამისი; 34. ფიალა; 36. აზოტი; 38. ალალი; 41. აგური; 43. ტიტა; 45. ტრუა; 47. ალბინა; 48. ლიმა; 49. ნია; 50. მუზა; 51. მხალი; 53. როქი; 54. ოდრა; 55. ალალი; 57. კროლი; 60. დასი; 62. გოეთე; 63. სატურნი; 64. კლანი; 67. ისანი; 68. ისარი; 70. ავარა; 72. არაკი; 75. გორბაჩოვი; 79. ანანური; 80. ტოლსტოი; 83. ისლამი; 86. ლიცეუმი; 87. ილიადა; 90. ავეია; 91. არშა; 92. რინგი; 93. კიტრი;

შვეულად: 1. ბორჯომი; 2. დონი; 3. ხეტი; 4. ვერდი; 6. სირია; 7. ია; 9. ლუდი; 10. ანეკდოტი; 11. ნეკვიანი; 12. კონდორი; 13. ხენა; 16. ხილი; 17. ანიმოვი; 19. ჩადი; 20. დასი; 23. მალვინა; 24. ისრაელი; 25. ია; 26. ბარდი; 27. მეფია; 28. კასტა; 29. ოდიში; 30. თილისმა; 31. ალბეული; 35. დიუნანი; 37. ონტარიო; 39. ატლანტა; 40. მეიდანი; 42. ია; 44. ანი; 45. ტაო; 46. ფხა; 51. მარშალი; 52. იკაროსი; 55. ატლანტა; 56. ბურისტი; 57. [illegible]; 58. ირანი; 59. ფაუნა; 60. დანი; 61. ალტა; 65. კალმახი; 66. პალატა; 69. აბგა; 71. არია; 73. ფარვანა; 74. [illegible]; 76. ასკეტი; 77. დოლი; 78. ნიუტონი; 81. ალტაი; 82. ჭიზვი; 84. ხიმი; 85. შონა; 88. ლოძი; 89. დიდი.

რედაქტორ-გამომცემლები
ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲚᲚᲐᲨᲕᲘᲠᲘᲫᲔ და ᲞᲐᲐᲢᲐ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ
გენერალური დირექტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲐᲚᲘᲐ
პასუხისმგებელი რედაქტორი ᲖᲐᲖᲐ ᲢᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ,
პასუხისმგებელი მდივანი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲘᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.

ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

10 მაისი 1996 წ.

№25, №26, №27 საბარათო აუქციონებზე გასაყიდ საქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხების და ადრე გამოცხადებულ აუქციონებში ცვლილებათა დამტკიცების შესახებ

ქასობრივი პრივატიზაციის პროცესების გეგმაშესაბამისი განვითარების, საპრივატიზაციო ბარათების სადაზღვევო უწრუნველყოფის მიზნით, მსოფლიო ბანკის ძალობრივი პრივატიზაციის პროექტის კონსულტაციების გათვალისწინებით, ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად მოქმედი საპრივატიზაციო ბარათები ძალაშია 1996 წლის 1 ივლისამდე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს იმ საქციო საზოგადოებათა თანდართული ჩამონათვალი, რომელთა აქციების პრივატიზება გათვალისწინებულია №25, №26 და №27 საბარათო აუქციონებზე (დანართი №1. №2 და №3) დადგენილი წესით და იმ დამატებითი პირობით, რომ ამ აუქციონების შედეგად შესყიდული აქციათა პაკეტების საკუთრის სრული დაფარვა განხორციელდება საპრივატიზაციო ბარათების მოქმედების პერიოდში ანუ 1996 წლის 1 ივლისამდე.

2. ლორგანიზაციული საკითხების დაზუსტების აუცილებლობასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილებები №23, №24 საბარათო და აგრეთვე №43 სპეციალიზებულ საბარათო აუქციონების ნუსხებში:

2.1 საქციო საზოგადოება „ოზურგეთის №1 ჩაის კომბინატი"-ს (№718) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №23 საბარათო აუქციონის ნუსხაში მითითებული 2 834-სა უნდა იყოს 2664, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 2,96-სა უნდა იყოს 2,77, ხოლო საწყისი ფასი საპრივატიზაციო ბარათებში ნაცვლად 770-სა უნდა იყოს 724;

2.2 საქციო საზოგადოება „აგრაციი"-ს (№158) აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №24 საბარათო აუქციონის ნუსხის №28 პოზიციაში მითითებული 34 000-სა უნდა იყოს 24 420, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 23,02-სა უნდა იყოს 16,53, ხოლო საწყისი ფასი საპრივატიზაციო ბარათებში ნაცვლად 9 232-სა უნდა იყოს 6 631;

2.3. საქციო საზოგადოება „აგროტექსერვისი" (№827) ამოღებულ იქნას №43 სპეციალიზებული საბარათო აუქციონის ნუსხიდან და გაუქმდეს აღნიშნული საქციო საზოგადოების საქმე, როგორც გაორებული და შეცდომით ხელმეორედ წარმოდგენილი.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ ინფორმაცია იგივე საქციო საზოგადოების დაფუძნების შესახებ ადრე იყო წარმოდგენილი სახელწოდებით „ახალციხის მანქანა-ტრაქტორების პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმო" (№712) და აქციათა ნაწილიც პრივატიზებულია დადგენილი წესით.

სახელმწიფო ქონების მართვის
მინისტრი ა. სილაბაძე

№ 25 საბარათო აუქციონი

- აუქციონი ტარდება საფასურის 1996 წლის 1 ივლისამდე დაფარვის პირობით, დადგენილი წესით 1996 წლის 14 ივნისს

დანართი №1
საქართველოს სკმ სამინისტროს
1996 წ. მაისის №
ბრძანებაზე

№	იყო აუქციონ№№	საქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე)	გამოშვებული აქციების რაოდენობა	აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა	% საწესდებო კაპიტალთან	საწყისი ფასი საპრ. ბარათებში	საქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი	გენერალური დირექტორი	დაკავებ. მიწის ფართი
1	11-12.04.-	19. „ოვერია"(ქუთაისის საწგ-ბა)	233225	22870	9.806	6210	ქუთაისი, მშენებლის 2, ტ.62093	მ. მამისეიშვილი	7.4
2	11-12.04-1	30. „პოლიმერული ნაკეთობა"	455159	43338	9.522	11767	სამრეწველო ზონა,ორხევი,ტ.732139	გ. ჩიბლაძე	4.3
3	№38-XI	45. „უნივერსალი"(ქუთ.საკად.-შეკან. ქ-ნა)	151499	657	0.434	179	ქუთაისი, სულიან-სასის 7, ტ.	გ.ამაჩიტაძე	2.48
4	1-29.12.-X	60. „თამბაქოს საფირმენტ. ქ-ნა „ქერეი"	153454	1328	0.865	361	ლაგოდეხი, 26 მაისის 33, ტ.	ჯ.მოდებაძე	7.8
5	12-19.04.-	61. „ალვანის ღვინის ქარხანა"	270000	2779	1.029	755	ლაგოდეხი, სოფ. ალვანი		7
6	12-19.04.-	*64. „მერკური-92"(მაცივრები)	394400	10872	2.757	2952	თბილისი,თელეთის მეოთხეს 27, ტ.3409	თ.ზამთარაძე	2.5
7	12-19.04.-	82. „ეტლი"(ვანის ავტოსატრანსპ.საწარმი)	29666	3474	11.71	943	ვანი,თავისუფლების 56,ტ.	გივი გეგეჭკ	1.6
8	XXXIII-XI	*91. „პაკალია"(სასურსათოფეიქრ.თბილისი)	109281	3149	2.882	855	თბილისი,სპეკერის ჩიხი 4,ტ.713567	ლ. ფეფალიძ	1.5
9	14-26.04.-	*108„მარნეულის ნათლობაპროდუქტი"(კომშ.ს)	168170	13332	7.928	3620	მარნეული,აღმაშენებლის 5,ტ.22056	ზ. ამაშუკელი	8
10	14-26.04-X	115„ლითონგრაფი"(თეთრიწყაროს მაღ.ს.)	25360	153	0.603	42	თეთრიწყაროს ტ-ნი,დასმადანტ.	ნ. წიკლური	3
11	14-26.04-X	123„სოკო"(სოკოს წარმოა გადამუშ.კ-ტი)	346650	4186	1.208	1137	გორი,ბაბა, 4,რუმთ.-თბილ.ბაზ.,17-ე კმ.)	ი. ფანცხავა	7
12	10-29.03-	130„ცენტრალური სუპერმარკეტი"(ლეზერტ.)	205343	1256	0.612	141	[illegible],წინ.ძმელრიშვილის 135,ტ.34469	ლ. ზუბალაშვი	7
13	10-29.03-	136„ქუთაისის მექანიკური ქ-ნა"	65862	1495	2.27	406	ქუთაისი,ნიკეას 7,ტ.	თ. გვანცელაძე	2
14	XXXVII-	160„ლითონმჭრელი იარაღები"(საინსტრუმ.ქ.)	445758	4717	1.082	1281	თბილისი,სამურთალის 32,ტ.	თ.ხარებავა	2.1
15	14-29.03-X	184„ექსპრესი„(მარნეულის სამგზავსს)	93486	435	0.465	118	მარნეული,კოსტავას 58	ვ.ვასაროვი	
16	15-3.05-8-	186„ქარავანი"(№3 სატ.ავტოსატრ.საწ-მო)	142329	295	0.207	80	თბილისი,მუხათგვერდი, ტ.	შ. ფეფალიშვილ	5
17	15-3.05.-X	187„ავტოშემკეთებელი"(თბ.№1 ავტოშ.ქ-ნა)	[illegible]	58500	13.35	12218	მექანიზაციის 1,ტ.662927,663318	ი.ალფანიშვილი	
18	15-3.05.-X	187„ავტოშემკეთებელი"(თბ.№1 ავტოშ.ქ-ნა)	[illegible]	81000	18.49	16917	მექანიზაციის 1,ტ.662927,663318	ი.ალფანიშვილი	
19	15-3.05.-X	187„ავტოშემკეთებელი"(თბ.№1 ავტოშ.ქ-ნა)	438048	130000	29.68	27151	მექანიზაციის 1,ტ.662927,663318	ი.ალფანიშვილი	
20	XX	*195„ახალციხის ნათლობაპროდუქტი"	60427	143	0.237	39	ახალციხეტაბაძის 25,ტ.21248	ო.ალავერდი	
21.	3-12.01-15	199„ოზურგეთის ჩაის საწონი ფაბრიკა"	109500	1102	1.006	299	ოზურგეთი,კოსტავას 79,ტ.66200	ა.ლომაძე	4.3
22.	3-12.01-15	204„მარკეტრწანასი"(კრწანისი,ც.ს.ბაზ.)	504293	3964	0.786	1076	თბილისი,ტრესის №3,ტ.999742	ჯ. ფეფალიანი	0.25
23.	3-12.01-15	208„წყალტუბოს ბორეკომბინატი"	91248	9200	10.08	2498	წყალტუბო,მარჯანიშვილის 3,ტ.22596	ნ.სირბილაძე	2.2
24.	3-12.01-15	208„წყალტუბოს ბორეკომბინატი"	91248	11227	12.3	3048	წყალტუბო,მარჯანიშვილის 3,ტ.22596	ნ.სირბილაძე	2.2
25.	3-12.01-15	208„წყალტუბოს ბორეკომბინატი"	91248	15000	16.44	4073	წყალტუბო,მარჯანიშვილის 3,ტ.22596	ნ.სირბილაძე	2.2
		ს უ ლ :	5541750	424472		98366			

40 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

სამსახურებრივი სარგებელ

№№	აქციათა ანგარიშგ. რიგითი ნომერი	საქციო საზოგადოების დასახელება	გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი)	განაცხადების რაოდენობა (ცალი) 1ტიპი	2ტიპი	სულ	ვაუჩერების რაოდენობა (ცალი) 1 ტიპი	2 ტიპი	სულ	გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი)	აუქციონის კურსი	დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი)	გაყიდული აქციების პროცენტი	ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ.
1.	618	"ელექტოაპარატი"	311255	135	2	137	8127	1080	9207	303831	33	7424	97.61	48.18
2.	681	"ბეტონკონსტრუქცია"	21290	16	0	16	499	0	499	20958	42	332	98.44	61.32
3.	790	"ღუღისა და ხიდ.წყდ.ქ-ნა"	44798	21	0	21	1381	0	1381	44192	32	606	98.65	46.72
4.	804	"